საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-14/8896
05/09/2023

8896-15-14-2-202309051437

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ[redacted] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული 2022 წლის 29 ნოემბერს და 2023 წლის 19 მაისს შეხვდა და ესაუბრა მსჯავრდებულ[redacted], რომელმაც აღნიშნა, რომ მისი და მისი ახლო ნათესავების (დედა, შვილები, შვილიშვილები) მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი[redacted], თუმცა, თითქმის 1 (ერთი) წელი და 5 (ხუთი) თვეა, განთავსებულია N2 პენიტენციურ დაწესებულებაში. მისი განმარტებით, ოჯახის წევრები ვერ ახერხებენ ქ. ქუთაისში ჩამოსვლას, რის გამოც ეზღუდება კუთვნილი პაემნისა და ამანათის მიღების უფლება და ითხოვს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებას.

ფაქტობრივი გარემოებები

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, [redacted] მისი ან მისი ახლო ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს.[1] ამასთან, აპარატმა N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოითხოვა მსჯავრდებულის მიერ გამოყენებული

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 12 დეკემბრის N15-14/12332 და 2023 წლის 7 ივნისის N15-14/5441 წერილები.

ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების შესახებ ინფორმაცია,[2] ასევე, პენიტენციური დეპარტამენტიდან ინფორმაცია გამოითხოვა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის თაობაზე.[3]

პენიტენციური დეპარტამენტის პირველი პასუხის თანახმად,[4] [redacted] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა არ იგეგმება, გადატვირთულობის თავიდან აცილების გამო, ხოლო განმეორებით წერილზე მიღებული პასუხის მიხედვით,[5] [redacted] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არ იგეგმება.

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის[6] თანახმად, [redacted] საცხოვრებელი მისამართია: ქ. თბილისი, [redacted] სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვს დახურული ტიპის დაწესებულებაში; N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულს ხანმოკლე ან/და ხანგრძლივი პაემნით არ უსარგებლია. ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის[7] მიხედვით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, კერძოდ, 2021 წლის 15 თებერვლიდან 2022 წლის 16 აპრილის ჩათვლით, [redacted] ხანმოკლე პაემნით ისარგებლა 12-ჯერ.[8]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის[9] თანახმად, N10 დაწესებულებაში განთავსებულია 423 მსჯავრდებული და 5 ბრალდებული.

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური

---

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 30 მაისის N15-14/5211 წერილი.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 5 ივლისს N15-14/6459 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2022 წლის 20 დეკემბრის N370831/01 წერილი.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 19 ივნისის N167259/01 წერილი.

[6] N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 5 ივნისის N152333/20 წერილი.

[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსის 2023 წლის 19 ივნისის N167259/01 წერილი.

[8] კერძოდ, [redacted] ხანმოკლე პაემნის უფლებით ისარგებლა 2021 წლის 26 მარტს, 2021 წლის 23 აპრილს, 2021 წლის 28 მაისს, 2021 წლის 29 ივნისს, 2021 წლის 30 ივლისს, 2021 წლის 16 აგვისტოს, 2021 წლის 16 სექტემბერს, 2021 წლის 12 ოქტომბერს, 2021 წლის 15 ნოემბერს, 2021 წლის 10 დეკემბერს, 2022 წლის 23 თებერვალს და 2022 წლის 30 მარტს.

[9] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 6 ივლისის N185784/01 წერილი.

დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი,**[10] ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[11]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[12] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, თითქმის წელიწადი და ხუთი თვე (2022 წლის 17 აპრილიდან) ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.[13] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.**[14]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შემლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[15] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[16]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ" ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული

---

[10] იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.

[11] იხ. დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.

[12] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[13] იხ. ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, 11082/06, 13772/05, 25.07.2013, ასევე, დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022.

[14] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

[15] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 17.1.

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[17] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[18]

ნიშანდობლივია, რომ იგივე პრინციპია განმტკიცებული საქართველოს პატიმრობის კოდექსშიც. კანონის შესაბამისად, მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს უნდა იხდიდეს მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[19]

წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულიად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის სწორი ბალანსის დაცვა. როგორც უკვე აღინიშნა, [redacted] **ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით არ უსარგებლია თითქმის 1 წლისა და ხუთი თვის მანძილზე.** აღნიშნული კი, საკმარისზე მეტი დროა საიმისოდ, რომ პენიტენციურმა სამსახურმა გადახედოს თავის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პატიმრის უფლება, ფაქტობრივად იზღუდება.

აქვე, გასათვალისწინებელია N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ზოგადი მდგომარეობა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დატვირთულობის კუთხით. შესაბამისად, შესაძლებელია განხილულ იქნას მსჯავრდებულის N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების საკითხი.

საგულისხმოა, რომ N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების[20] თანახმად, დაწესებულებაში განთავსებული არიან ბრალდებულები, რომელთაც სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა ან/და პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილი არიან პატიმრობის კოდექსის 55[1] მუხლის შესაბამისად, და მსჯავრდებულები, რომელთაც სამსახურის გენერალური დირექტორის (შემდგომ – გენერალური დირექტორი) ბრძანებით განესაზღვრათ **დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა, ან რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ მომეტებული რისკი.**

---

[17] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი N106.

[18] იქვე, წესი 59.

[19] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 46, პუნქტ. 3.

[20] „№10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება, მუხ. 2, პუნქტ. 2.

როგორც მოგეხსენებათ, N2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N10 პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო და სხვა პირობები.

საგულისხმოა, რომ [redacted] მოთხოვნა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, უნდა გამორიცხავდეს მსჯავრდებულის კანონიერი უფლების უსაფრთხოების მოტივით შეზღუდვის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, ვინაიდან, N2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსებისა და გადაადგილების ზემოაღნიშნული პირობები. ასევე, N10 პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, **ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**[21] ამასთან, დებულების თანახმად, **სუფთა ჰაერზე**[22] **გაყვანას ან დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი.**

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ზ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, N10 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N10 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას,[23] რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა პენიტენციური დეპარტამენტიდან (დადგენილი ლიმიტია - 700 პატიმარი, მოთავსებული იყო - 428 პატიმარი), მსჯავრდებულ [redacted] N10 დაწესებულებაში გადაყვანა გამორიცხავს უსაფრთხოებასთან ერთად, გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted]

---

[21] „№10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება, მუხ. 12, პუნქტ. 1.

[22] ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა.

[23] 2023 წლის 6 ივლისის მდგომარეობით, 428 პატიმარი.

[redacted], სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილ იქნას შესაბამისი ტიპის N10 პენიტენციურ დაწესებულებაში.

გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში აცნობოთ სახალხო დამცველს.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE